

Stroke
Association

Georgian

თუ ინსულტი გამოგივლინდათ

მოკლე გზამკვლევი



თუ ინსულტი გამოგივლინდათ

მოკლე გზამკვლევი

გზამკვლევაში ნახავთ

1. გაიგე მეტი შენი ინსულტის შესახებ
2. აღდგენა ინსულტის შემდეგ
3. რეაბილიტაცია
4. განმეორებითი ინსულტის რისკის შემცირება
5. თქვენ მართო არ ხართ
6. სად მივიღო დახმარება და ინფორმაცია

ჩვენ აქ ვართ რომ დაგეხმაროთ

თუ გჭირდებათ მეტი დახმარება და ინფორმაცია,

დაუკავშირდით ჩვენს ინსულტის დახმარების ცხელ ხაზს

ნომერზე **0303 3033 100**, ელ. ფოსტაზე

helpline@stroke.org.uk ან ეწვიეთ **stroke.org.uk**

წაიკითხე ეს ვინმესთან ერთად

ინსულტმა შეიძლება გაართულოს საგნების აღქმა. ამ გზამკვლევის სხვასთან წაკითხვა და საუბარი დაგეხმარებათ მის უკეთ გაგებაში.

უჯრედი:

ტრანსპორტის მართვა

კანონის მიხედვით, თქვენ არ გაგაჩნიათ სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება ინსულტის დაფიქსირებიდან 1 თვის განმავლობაში. გაიგე როგორ უნდა მოიქცე ამ შემთხვევაში ჩვენი სახელმძღვანელოს დახმარებით „ტრანსპორტის მართვა ინსულტის შემდეგ“

უჯრედის დასასრული:

გაიგე მეტი შენი ინსულტის შესახებ

როდესაც ადამიანს ემართება ინსულტი, თავის ტვინის ნაწილი კარგავს სისხლის მიწოდებას. ეს აზიანებს თავის ტვინს.

ინსულტის ორ ძირითად ნაირსახეობას განასახვავებენ

1. იშემიური: მას იწვევს თავის ტვინში სისხლძარღვის ბლოკირება.

2. ჰემორაგიული: მას იწვევს სისხლჩაქცევა თავის ტვინში. (1)

იშემიურ ინსულტს ხშირად მოიხსენიებენ, როგორც თრომბს. ასეთ ინსულტს ხშირად სისხლჩაქცევას ეძახიან.

ინსულტის შემდეგ საავადმყოფოში

- ჩაგიტარდებათ თავის ტვინის სკანირება, კვლევები და მკურნალობა.
- თქვენ შეიძლება თავი ცუდად და დაღლილად იგრძნოთ.
- თქვენ შეიძლება თავი შოკირებულად და დაღონებულად იგრძნოთ.

- დაბნეულობის შეგრძნება ნორმალურია ინსულტის დროს.

ინსულტის ეფექტი დამოკიდებულია ორ რამეზე

1. სად არის ინსულტი თქვენს ტვინში.
2. რამდენად დააზიანა თქვენი ტვინი ინსულტმა.

ყველა ინსულტი უნიკალურია. თქვენი ინსულტი და თქვენი გამოჯანმრთელება დამოკიდებულია ინდივიდუალურ ფაქტორებზე.

ეს სურათი გვიჩვენებს ინსულტის ზოგიერთ მთავარ ეფექტს.

[ისრები მიმართულია სხეულის მიმართ: მარკირება:]

მეხსიერება და აზროვნება

მხედველობა

მეტყველება

ყლაპვა

მკლავის და ხელის სისუსტე

ნაწლავებისა და შარდის ბუშტის კონტროლის დაკარგვა

ქინძისთავის და ნემსის ჩხვლეტის შეგრძნებები

კუნთების და სახსრების ტკივილი

დაბუჟებული კანი

ფეხის სისუსტე და წონასწორობა

ინსულტი ასევე მოქმედებს თქვენს აზრებზე და გრძნობებზე

ინსულტი ხშირად იწვევს მეხსიერების პრობლემებს.

შეიძლება გაგიჭირდეთ კონცენტრაცია.

მას ასევე შეუძლია ძალიან ემოციური გაგხადოთ.

ინსულტის ფიზიკური ეფექტები

ინსულტი შეიძლება გავლენა იქონიოს თქვენი სხეულის

ნებისმიერ ნაწილზე და ასევე ქონდეს მსუბუქი ან მძიმე

ეფექტი. ზოგიერთ ადამიანს არ აქვს ინსულტის გამოვლენის

ფიზიკური ეფექტი, ზოგს კი შეიძლება რამოდენიმე აღმოაჩნდეს. ყველაზე გავრცელებული ინსულტის შემდგომი ეფექტებია:

- **სისუსტე ან პარალიზება სხეულის ცალ მხარეს**

ფეხის კუნთების სისუსტე: შეიძლება გაგირთულდეთ წონასწორობის შენარჩუნება და სიარული.

მკლავისა და ხელის სისუსტე: შეიძლება გაგიჭირდეთ წერა, დანის და ჩანგლის გამოყენება და ჩაცმა.

- **ყლაპვის პრობლემები.**

ბევრ ადამიანი უჭირს ყლაპვა ინსულტის შემდეგ. შეიძლება ამ შეზღუდვის გამო გარკვეული დროით დაგჭირდეთ რბილი საკვების მიღება ან სულაც მილით კვება გახდეს საჭირო.

- **მხედველობის პრობლემები**

ბევრ ადამიანს აქვს მხედველობის პრობლემები ინსულტის შემდეგ. ეს მოიცავს სინათლის მიმართ მგრძნობიარობის ამაღლებას და მასიური ზონების აულქმელობას ხედვის არეალში.

ინსულტის ფარული ეფექტები

ინსულტის შემდეგ შეიძლება გამოვივლინდეთ რამოდენიმე „ფარული“ ეფექტი:

- გამოფიტვა: დაღლილობა, რომელსაც დასვენება არ შველის.
- ინსულტის შემდეგ ხშირია შფოთვის ან დაღლილობის შეგრძნება.
- ცვლილებები თქვენს ქცევაში, როგორცაა გაღიზიანება ან იმპულსურობა, ან ინტერესის დაკარგვა.
- ემოციურობა: ემოციების კონტროლის გართულება.

უჯრედი/ფართო მარკირება:

ინსულტის ბევრი ფარული ეფექტი შეიძლება რთულად აღქმადი აღმოჩნდეს თქვენთვის და სხვებისთვის. შეეცადეთ

შემდგომისდაგვარად ესაუბროთ თქვენს მეგობრებს და ოჯახის წევრებს მათ შესახებ.

უჯრედი მთავრდება

გამოსახულება:

წაიკითხეთ მეტი ინსულტის ეფექტების შესახებ შემდეგი სატის მონახულებით: stroke.org.uk/effects-of-stroke.

კომუნიკაცია ინსულტის შემდეგ

ბევრ ადამიანს აქვს კომუნიკაციის პრობლემები ინსულტის შემდეგ. ამას შეიძლება ჰქონდეს რამოდენიმე მიზეზი:

1. თქვენი თავის ტვინის ენობრივი უბნების დაზიანებამ შეიძლება გამოიწვიოს აფაზია. აფაზიის მქონე ადამიანებს შეიძლება ჰქონდეთ ენის გამოყენების მთელი რიგი პრობლემები. მათ უჭირთ ლაპარაკი და სხვისი მეტყველების გაგება, კითხვა, წერა და რიცხვების გამოყენება. აფაზია არ ნიშნავს, რომ ნაკლებად

ინტელექტუალური ხართ, უბრალოდ ენის გამოყენების პრობლემა გაქვთ.

2. სახის სუსტი კუნთების გამო შეიძლება მეტყველება დაირღვეს.

3. მეხსიერების და კონცენტრაციის პრობლემებმა შეიძლება გაართულოს კომუნიკაცია.

აღდგენა ინსულტის შემდეგ

ნებისმიერმა ინსულტმა, დიდმა თუ პატარამ, შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს თქვენს ცხოვრებაზე. ბევრი ადამიანი ადვილად ახდენს გამოჯანმრთელებას, მაგრამ ყველას არ შეუძლია დაუბრუნდეს იმ მდგომარეობას, როგორშიც იყო ინსულტამდე. ზოგიერთი ადამიანი შეიძლება დაინვალიდდეს კიდევ. თუმცა სწორი მხარდაჭერით შესაძლებლობა მოგეცემათ აღადგინოთ თქვენი ჩვეული ცხოვრება.

ყველაზე სწრაფად აღდგენითი პროცესები პირველ თვეებში მიმდინარეობს. თვეებში, მაგრამ სრულ აღდგენას შეიძლება წლები დაჭირდეს.

ბევრი პრობლემა მალევე გვარდება

ბევრი პრობლემა გვარდება ინსულტის შემდეგ რამდენიმე დღეში ან კვირაში. ისეთი პროცესები, როგორცაა მაგალითად შარდის ბუშტის კონტროლი, საუბარი, ყლაპვა და სიარული, ხშირად ინსულტის შემდეგ მალევე ახერხებს აღდგენას.

ადამიანები ვინც დაგეხამრებათ ინსულტის შემდეგ

თერაპევტები, ექიმები და მედდები ატარებენ მკურნალობას და თერაპიას თქვენი გამოჯანმრთელების ხელშესაწყობად. მეგობრებს და ოჯახს ასევე შეუძლიათ თქვენი მხარდაჭერა.

მიიღეთ დახმარება ინსულტის შედეგებთან ბრძოლაში

თუ ჯერ კიდევ საავადმყოფოში ხართ, გაესაუბრეთ თქვენს ექიმს, ექთანს ან თერაპევტს.

თუ საავადმყოფო დატოვეთ, სთხოვეთ თქვენს ექიმს გაგიწიოთ დახმარება.

რჩევა: არ იჩქაროთ

შეეცადეთ კონცეტირდეთ ყოველდღიურ გაუმჯობესებაზე. ნუ ჩავარდებით პანიკაში, თუ ყველაფერი მაშინვე არ გაუმჯობესდება.

რეაბილიტაცია

თქვენს ტვინს შეუძლია „ადაპტაცია“ ჯანსაღ უბნებს შორის ახალი კავშირების შექმნით. ამ პროცესს ნეიროპლასტიურობა ეწოდება.

სარეაბილიტაციო თერაპია ხელს უწყობს თქვენს ტვინში ახალი კავშირების განვითარებას. ექსპერტების მხარდაჭერით, დიდი შრომითა და ვარჯიშით, შესაძლებელია ისეთი უნარების ხელახლა სწავლა, როგორცაა სიარული და ლაპარაკი.

როგორ მოქმედებს რეაბილიტაცია

თერაპია მალევე იწყება ინსულტის შემდეგ. თერაპევტი გაფასებთ და თქვენ ერთად ათანხმებთ იმ მიზნებს, რომელთა მიღწევაც გსურთ. თერაპევტი გიდგენთ ინდივიდუალურ გეგმას, აქტივობებითა და რჩევებით, რათა დაგეხმაროთ თქვენი მიზნების მიღწევაში.

- თუ გაქვთ კუნთების სისუსტე ან დამბლა ცალ მხარეს, თერაპიის მიზანია დაგეხმაროთ დაიწყოთ მოძრაობა და გააუმჯობესოთ წონასწორობა.
- თერაპიას ასევე შეუძლია გააუმჯობესოს ისეთი უნარები, როგორცაა საუბარი და წერა.
- თუ გიჭირთ მკლავების და ხელების გამოყენება, თერაპია დაგეხმარებათ ისწავლოთ ყოველდღიური აქტივობების შესრულების ახალი გზები, როგორცაა ჩაცმა და საჭმლის მომზადება.

რეაბილიტაცია იწყება თერაპევტის დახმარებით, მაგრამ გრძელდება სახლში. პრაქტიკული აქტივობები დაგეხმარებათ პროგრესში. შეგიძლიათ

დამოუკიდებლად, ივარჯიშოთ ან ოჯახისა და მეგობრების დახმარებითა და წახალისებით ჩაერთოთ აქტივობებში.

თერაპევტის ტიპები

ფიზიოთერაპევტი

გეხმარებათ ძალის, მობილურობის, წონასწორობის და გამძლეობის აღდგენაში.

შრომითი თერაპევტი

გეხმარებათ დამოუკიდებლობის აღდგენაში ყოველდღიური ცხოვრების უნარების ხელახალი შესწავლით. მათ შეუძლიათ გირჩიონ როგორ მოახდინოთ სახლის ადაპტაცია და დაგეხმარონ ისეთ აქტივობებში, როგორცაა საჭმლის მომზადება.

მეტყველებისა და ენის თერაპევტი (SLT)

გეხმარებათ მეტყველების გაუმჯობესებაში, მკურნალობს ყლაპვისა და კვების გართულებებს. ასევე გეხმარებათ კითხვასა და წერაში.

დიეტოლოგი

ეხმარება ყლაპვის გაძნელების მქონე ადამიანებს უსაფრთხოდ ჭამაში, ასევე გირჩევთ ჯანსაღ კვებას.

ფსიქოლოგი

ეხმარება ადამიანებს მეხსიერების და აზროვნების სირთულეების გადალახვაში, ასევე დაგეხმარებათ გაუმკლავდეთ ემოციურ პრობლემებს, როგორცაა დეპრესია.

უჯრედი:

რჩევა: დასვით კითხვები

თავდაპირველად გაგიჭირდებათ გაიგოთ რას ნიშნავს ინსულტი. სამედიცინო პერსონალი და თერაპევტები

ბედნიერნი იქნებიან პასუხი გასცენ თქვენს მიერ დასმულ კითხვებზე.

უჯრედი მთავრდება

ინსულტის ნიშნების გამოვლენა

სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინსულტის

გამაფრთხილებელი ნიშნების ცოდნა. FAST ტესტი

საუკეთესოა ამ შემთხვევებისთვის.

FAST ტესტი

სახე (Face): შეუძლია თუ არა ადამიანს გაღიმება? ემჩნევა თუ არა მას სახის ერთ მხარეზე ჩამოწელება?

ხელები (Arms): შეუძლია თუ არა პიროვნებას ორივე ხელის აწევა და აწეულ პოზიციაში გაჩერება?

მეტყველების პრობლემები (Speech problems): შეუძლია თუ არა ადამიანს გამართულად საუბარი და თქვენი საუბრის გაგება? ბუნდოვანია თუ არა მათი მეტყველება?

დრო (Time): თუ თქვენ შეამჩნიეთ რომელიმე ეს ნიშანი, დროა დარეკოთ 999-ზე.

ეს არის ინსულტის ძირითადი ნიშნები. მაგრამ სხვა ნიშნებიც ყურადსაღებია:

- უეცარი სისუსტე ან გაბუჟება სხეულის ცალ მხარს, მათ შორის ფეხებში, ხელებში და ტერფებზე.
- სიტყვათა მოძიების და გამართულად საუბრის სირთულე.
- უეცარი მხედველობის დაბინდვა ან ხედვის დაკარგვა ერთ ან ორივე თვალში.
- მეხსიერების უეცარი დაკარგვა ან დაბნეულობა და თავბრუსხვევა ან უეცარი წაქცევა.
- უეცარი, ძლიერი თავის ტკივილი.

თუ თქვენ შენიშნავთ ინსულტის ნებისმიერ გამოვლინებას, არ დააყოვნოთ, დარეკეთ 999-ზე.

ინსულტი შეიძლება ნებისმიერ ადამიანს დაემართოს ნებისმიერ ასაკში. ყოველი წამი მნიშვნელოვანია. თუ თქვენ შენიშნავთ ინსულტის ნებისმიერ გამოვლინებას, არ დააყოვნოთ. დაუყოვნებლივ დარეკეთ 999-ზე.

განმეორებითი ინსულტის რისკის შემცირება

თუ ინსულტი გამოგივლინდათ, თქვენ ჩაგიტარებენ კვლევას იმ ნებისმიერი დაავადების გამოსავლენად, რომელმაც შეიძლება მოახდინოს ინსულტის პროვოცირება. ეს შეიძლება გამოვლინდეს როგორც:

- სისხლის მაღალი არტერიული წნევა.
- წინაგულების ფიბრილაცია (არარეგულარული გულისცემა).
- დიაბეტი.
- მაღალი ქოლესტერინის დონე.

ინსულტის რისკის თავიდან ასაცილებლად საუკეთესო გზა არის ამ დაავადებათა მკურნალობა.

თქვენ ასევე მიიღებთ რჩევებს რისკის შესამცირებელ სხვა გზებთან დაკავშირებით. ეს შეიძლება მოიცავდეს უფრო აქტიური ცხოვრების წესს, ჯანსაღ კვებას ან თამბაქოს მოხმარების შეწყვეტას.

განმეორებითი ინსულტი შეიძლება დიდი პრობლემების მომტანი იყოს თქვენთვის, თქვენი მეგობრებისთვის და ოჯახისთვის. თქვენი ოჯახის ექიმს ან ექთანს შეუძლია მოგცეთ თქვენზე მორგებული რჩევა დაავადებების მკურნალობასთან ან ჯანმრთელი ცხოვრების წესთან დაკავშირებით.

- დამატებითი იდეებისთვის წაიკითხეთ „ინსულტის შემდეგ გააქტიურება“ ონლაინ, ან შეუკვეთეთ ნაბეჭდი ასლი stroke.org.uk-ზე.

თქვენ მარტო არ ხართ

ბევრი ინსულტგადატანილი აღნიშნავს, რომ ისინი თავიდან თავს მარტოსულად გრძნობენ და ამ დროს ძალიან რთულია აუხსნს სხვებს რას გრძნობ. ინსულტიდან გამოწვეულმა შოკმა შეიძლება შეცვალოს ადამიანების ცხოვრება.

ჰოსპიტალის დატოვების შემდეგ თქვენ უნდა გაგაჩნდეთ მხარდაჭერა პროფესიონალებისგან როგორებიც არიან ექთნები და თერაპევტები ინსულტის მხარდაჭერის გუნდში თუ ფიქრობთ რომ გჭირდებათ მეტი მხარდაჭერა დაგვიკავშირდით დახმარების ცხელ ხაზზე ან დაუკავშირდით თქვენს მკურნალ ექიმს.

ესაუბრეთ ირგვლივ მყოფებს

ოჯახის წევრებთან და მეგობრებთან საუბრებმა შეიძლება დაგეხმაროთ. გაუზიარეთ მათ თქვენი გრძნობები და ხელი შეუწყვეთ სხვებს უკეთ გაიგონ რას განიცდით.

ბევრი აღნიშნავს სხვა ინსულტით გადატანილებთან შეხვედრით მიღებულ დადებით შედეგს. ჩვენი ონლაინ პლატფორმა **mystrokeguide.com**-ს გააჩნია ინსულტგადატანილთა და მათზე მზრუნველების უფასო ონლაინ ფორუმი.

ინსულტის ჯგუფები

დიდ ბრიტანეთში მოქმედებს ინსულტის ჯგუფების დიდი ქსელი. მოიძიეთ თქვენი ჯგუფი stroke.org.uk/support -ზე ან დარეკეთ ჩვენი დახმარების ცხელ ხაზზე.

სად მივიღო დახმარება და ინფორმაცია

ინსულტის ასოციაციიდან

დახმარების ცხელი ხაზი

ჩვენი დახმარების ხაზი გთავაზობთ ინფორმაციას და მხარდაჭერას ყველასთვის ვინც ინსულტით დაზარალდა. ეს მოიცავს მეგობრებს და მზრუნველებსაც.

დაგვირეკეთ ნომერზე **0303 3033 100**, ტექსტური

ტელეფონიდან **18001 0303 3033 100**

ან მოგვწერეთ ელ. ფოსტაზე [:helpline@stroke.org.uk](mailto:helpline@stroke.org.uk).

გაეცანით ჩვენს მიერ მოწოდებულ ინფორმაციას

მიიღეთ მეტი ინფორმაცია ინსულტის შესახებ ინტერნეტით საიტზე **stroke.org.uk**, ან დარეკეთ დახმარების ხაზზე, რათა მოითხოვოთ ჩვენი გზამკვლევის ნაბეჭდი ასლები.

ჩემი ინსულტის გზამკვლევი

ინსულტის ასოციაციის ონლაინ პლატფორმა My Stroke Guide გაძლევთ უფასო წვდომას სანდო რჩევებზე, ინფორმაციასა და მხარდაჭერაზე 24/7. My Stroke Guide გაკავშირებთ თქვენ ჩვენს ონლაინ საზოგადოებასთან, რათა გაიგოთ თუ როგორ მართავენ სხვები საკუთარ რეაბილიტაციას. დღესვე ეწვიეთ საიტს **mystrokeguide.com**.

**დახმარება ჯანრმთელოობის შენარჩუნებასა და
ყოველდღიურ საქმიანობაში**

შეამცირეთ თქვენი ინსულტის რისკი

ინსულტს რისკის შესამცირებლად ინდივიდუალური რჩევის მისაღებად ეწვიეთ თქვენს მკურნალ ექიმს, ინსულტის სპეციალისტ მედდას ან ფარმაკოლოგს.

დახმარება ინსულტის შედეგებთან გასამკლავლებად

თუ გჭირდებათ დახმარება თქვენს ემოციურ ან ფიზიკურ პრობლემებთან ინსულტის შემდეგ დაგეგმეთ ვიზიტი თქვენს მკურნალ ექიმთან.

მოთხოვნილებების მხარდაჭერა

საცხოვრებლისა და მოვლის შესახებ ინფორმაციისთვის დაუკავშირდით თქვენი ადგილობრივი საკრებულოს ზრდასრულთა სოციალური მომსახურების განყოფილებას. თუ ვერ მოახერხებ საჭირო დახმარების მიღება, დარეკეთ ჩვენს დახმარების ხაზზე.

იურიდიული და ფინანსური რჩევა

უფასო, კონფიდენციალური რჩევისთვის ფინანსური, იურიდიული და დასაქმების საკითხებთან დაკავშირებით, დაუკავშირდით Citizens Advice-ს civiladvice.org.uk. ეწვიეთ stroke.org.uk/financial-support, რათა გაიგოთ მეტი ხელმისაწვდომი ფინანსური მხარდაჭერის შესახებ.

კვლევაში ჩართვა

თქვენ შეიძლება გქონდეთ უფლება მონაწილეობა მიიღოთ კვლევაში. კვლევა გვეხმარება ინსულტის დიაგნოსტიკისა და მოვლის გაუმჯობესებაში. თუ მოგეთხოვებათ მონაწილეობა მიიღოთ კვლევაში, შეგიძლიათ განიხილოთ ნებისმიერი შეკითხვა მკვლევარებთან და ასევე შეგიძლიათ ისაუბროთ თქვენს ექიმთან.

ჩვენი ინფორმაციის შესახებ

ჩვენ გვსურს მოგაწოდოთ ყველაზე სასარგებლო ინფორმაცია ადამიანებზე ვინც განიცადა ინსულტი. სწორედ ამიტომ

ვთხოვთ ინსულტით დაზარებულებს და მათი ოჯახის წევრებს, ისევე როგორც სამედიცინო ექსპერტებს, მონაწილეობა მიიღონ ჩვენს პუბლიკაციებში.

როგორ გავართვით თავი?

მოგვიყვით რას ფიქრობთ ჩვენი გზამკვლევის შესახებ ან მის შედგენაში გამოყენებული წყაროების გამოსათხოვად მოგვწერეთ შემდეგ ელექტრონულ ფოსტაზე feedback@stroke.org.uk.

ხელმისაწვდომი ფორმატები

ეწვიეთ ჩვენს ვებსაიტს, თუ გჭირდებათ ეს ინფორმაცია აუდიო, დიდი ბეჭდვითი ან ბრაილის შრიფტით.

ყოველთვის მიიღეთ ინდივიდუალური რჩევა

ეს გზამკვლევი შეიცავს ზოგად ინფორმაციას ინსულტზე. მაგრამ თუ თქვენ გადააწყდით პრობლემას, უნდა მოითხოვოთ ინდივიდუალური რჩევა პროფესიონალისგან, მაგალითად მკურნალი ექიმისგან ან ფარმაცევტისგან. ჩვენი ცხელი ხაზი ასევე შეგიძლიათ გამოყენოთ დახმარების მოსაძიებლად. ჩვენ ძალიან ბევრს ვმუშაობთ, რომ მოგაწოდოთ უკანასკნელი ფაქტები, მაგრამ ბევრი რამ იცვლება. ჩვენ არ ვაკონტროლებთ

სხვა ორგანიზაციების და ვებსაიტების მიერ მოწოდებულ ინფორმაციას.

დაგვიკავშირდით

ჩვენ აქ ვართ რომ დაგეხმაროთ. დაგვიკავშირდით ტელეფონზე, ელ. ფოსტაზე ან ვებსაიტზე საექსპერტო ინფორმაციის და მხარდაჭერის მისაღებად.

მხარდაჭერის ცხელი ხაზი: 0303 3033 100

ტექსტური ტელეფონი: 18001 0303 3033 100

ელ. ფოსტა: helpline@stroke.org.uk

ვებსაიტი: stroke.org.uk

როდესაც ინსულტი გიტევთ, თქვენი ტვინის ნაწილი ითიშება. ისევე როგორც ითიშება თქვენი პიროვნების ნაწილი. მაგრამ ტვინს აქვს ადაპტაციის შესაძლებლობა. ჩვენი სპეციალისტის მხარდაჭერა, კვლევა და კამპანიის წარმოება შესაძლებელია მხოლოდ ინსულტის საზოგადოების სიმამაცის და

მიზანმიმართულების ხარჯზე. თქვენი მხრიდან მეტი შემოწირულობით და მხარდაჭერით ჩვენ შევძლებთ კიდევ მეტი სიცოცხლის აღდგენას.

შემოწირეთ ან შეიტყვეთ მეტი საიტზე: **stroke.org.uk**.

© ინსულტის ასოციაცია 2021

ვერსია 3. გამოქვეყნებულია 2021 წლის მაისში

განხილვის თარიღი: 2023 წლის აპრილი

სასაქონლო კოდი: A01L10

ინსულტის ასოციაცია რეგისტრირებულია როგორც საქველმოქმედო ორგანიზაცია ინგლისსა და უელსში (No 211015) და შოტლანდიაში (SC037789).

ასევე რეგისტრირებულია მენის კუნძულზე (No. 945) და ჯერსიში (No. 221) და მოქმედებს როგორც საქველმოქმედო ორგანიზაცია ჩრდილოეთ ირლანდიაში.